შპს „ტელეკომპანია პირველი“

სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

თბილისი

2021 წ.

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში.....3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....9
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....11
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 12
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....13
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 14

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შ.პ.ს. „ტელეკომპანია პირველი“-ის“ (შემდგომში კომპანია) ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი ნაკადების ანგარიშგებასა და საკუთარი კაპიტალის ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოსათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფასს-ის მიხედვით, არის თუ არა წარმოდგენილი და ახსნილი ფასს-დან გამომდინარე მნიშვნელოვანი გადახრები;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით, თუ შეუსაბამო არ არის ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება შეესაბამება ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე და თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომა-

რეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2021 წლის 13 მაისს

ვახტანგ წერეთელი
დირექტორი

ნანა ბარნაბიშვილი
მთ. ბუღალტერი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების **„ტელეკომპანია პირველი“-ის** დირექტორს.

აუდიტორული დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ტელეკომპანია პირველი“-ის“ (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებას, საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებულ ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, აუდიტორული დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ზემოაღნიშნული თარიღით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის, მცირე და საშუალო საწარმოსათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ 2021 წლის 1 აპრილს და ამდენად, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩვენ ვერ დავესწარით ფიზიკურად ძირითადი საშუალებების ფიზიკურ გადათვლას და ალტერნატიული საშუალებებითაც ვერ შევძელით დარწმუნება, რომლის ღირებულება ფინანსურ ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით ასახულია 2,863,466 ლარით და 1,917,554 ლარით, შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების განხორციელება ძირითადი საშუალებებთან დაკავშირებით. არსებითი ეფექტის გამო

ჩვენი მოსაზრება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების ნაშთებზე მოდიფიცირებულია.

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ 2021 წლის 1 აპრილს და ამდენად, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩვენ ვერ დავესწარით ფულადი სახსრების ფიზიკურ გადათვლას და ალტერნატიული საშუალებებითაც ვერ შევძელით დარწმუნება, რომლის ღირებულება ფინანსურ ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით ასახულია 207,996 და 83,600 ლარით. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების განხორციელება ფულად ნაკადებთან დაკავშირებით. არსებითი ეფექტის გამო, ჩვენი მოსაზრება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფულადი სახსრების ნაშთებზე მოდიფიცირებულია.

აუდიტი წავმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობები ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მსს (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით, ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით, სადაც აუცილებელია, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს „კომპანიის“ ლიკვიდაცია, ან შეწყვიტოს ოპერაციები, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული ქმედებებისა.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, ზედამხედველობა გაუწიოს ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით, ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალკ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

როგორც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით წარმართული აუდიტის ნაწილი, ჩვენ პროფესიულ შეფასებას და სკეპტიციზმს ვინარჩუნებთ მთელი აუდიტის მანძილზე. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის, ან შცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად.
- თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას, ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკის შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ

აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან, ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნერლოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა სამომავლო მოვლენებმა, ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს, ფუნქციონირების შეწყვეტა.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებებს კომპანიის ფინანსურ ინფორმაციასა და კომპანიის შიდა ბიზნეს საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის, შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

ჩვენ ასევე გადავცემთ ხელმძღვანელობას ეთიკური მოთხოვნებიდან გამომდინარე ანგარიშს დამოუკიდებლობის შესახებ, ასევე ვაცნობთ ყველა სახის საკითხს, რომლებმაც შესაძლოა, პრობლემა შეუქმნას დამოუკიდებლობას, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაციას მივაწვდით სიფრთხილის ზომებთან დაკავშირებით.

ხელმძღვანელობისთვის გაცნობილი საკითხებიდან ჩვენ განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში. ჩვენ მათ აღვწერთ აუდიტორულ დასკვნაში, თუ კანონით, ან რომელიმე რეგულაციებით არ არის შეზღუდული მათი გასაჯაროება, იშვიათად კი, შესაძლოა ესა თუ ის საკითხი დასკვნაში არ მოვიხსენიოთ, რადგან ამ ქმედების შესაძლო არასასურველმა შედეგმა შესაძლოა გადაწონოს საჯარო ინტერესი.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში აუდიტის გარიგების პარტნიორს წარმოადგენს ქეთევან ამანათაშვილი, აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-A-451284

შპს „ქეი აუდიტი“-ის (SARAS-F-235166)

დირექტორი, აუდიტორი (SARAS-A-451284)

ქეთევან ამანათაშვილი

13 მაისი 2021 წელი

ქ. თბილისი, საქართველო

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

	2019	2020
საინვესტიციო ქონება		
ძირითადი საშუალებები	1881836.46	2823821.48
არამატერიალური აქტივები	35717.28	39644.4
გრძელვადიანი მოთხოვნები კაპიტალის შევსებაზე		
სულ გრძელვადიანი აქტივები	1917553.74	2863465.88
გადახდილი ავანსები	28459.06	29522.61
ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი თანხები		
მარაგები და დაუმთავრებელი მშენებლობა	5588.29	2345.53
დებიტორული დავალიანება	1190203.69	1949791.45
მიმდინარე სასესხო მოთხოვნა		
ფულადი სახსრები	83600.87	207996.51
სულ მიმდინარე აქტივები	1307851.91	2189656.1
სულ მთლიანი აქტივები	3225405.65	5053121.98
კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	142200.83	2059000
გადაფასების რეზერვი		
წინა პერიოდის კაპიტალის ცვლილება		
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი	73040.00	(1857189.00)
მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალი		
სულ კაპიტალი	215240.83	201811
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გადავადებული მოგების გადასახადი	0	0
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	230651.86	912618.16
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	230651.86	912618.16
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა კრედიტ. დავალიანენა	1895056.96	2450571.91
მიღებული ავანსი	259052.91	162570.79
ვალდებულება დამფუძნებლის მიმართ	0	0
ვალდებულება საწარმო პერსონალის მიმართ	1731.6	0

საბიუჯეტო გადასახდელები	563671.83	1265550.1
მიმდინარე სასესხო ვალდებულება	60000	60000
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	2779513.3	3938692.8
სულ ვალდებულებები	3010165.16	4851310.96
სულ კაპიტალი და ვალდებულება	3225405.99	5053121.96

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით
2020 წლის 13 მაისს

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

	შენიშვნები	2019	2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	14	4237225.32	6594419.89
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		-1795501	-2310510
საერთო მოგება		2441724.32	4283909.89
ადმინისტრაციული ხარჯები	15	-2762159	-5624109
სხვა საერთო საოპერაციო ხარჯები	16	-354785	-665718
საოპერაციო ხარჯები		-3116944	-6289827
საოპერაციო მოგება		-675219.68	-2005917.11
არასაოპერაციო შემოსავალი		341601	392348.45
არასაოპერაციო ხარჯი		-31999.1	-187396.42
ფინანსური შემოსავალი		1584.17	10954.87
ფინანსური ხარჯი		-38259	-140298.51
წმინდა ფინანსური შედეგი		272927.07	75608.39
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		-402292.61	-1930308.72
მოგების გადასახადი (ხარჯი)/სარგებელი			
მოგება დაბეგვრის შემდგომ			
სხვა სრული შემოსავალი			
გადაფასების რეზერვი			
სრული შემოსავლის წლიური ჯამი			

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით
2020 წლის 13 მაისს

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

ფინანსური ანგარიშგება

ფულადი ნაკადების ანგარშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

	2019	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	4174885.15	5904404.5
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	-1831651.38	-3129783.09
თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	-1961051.28	-3883356.32
სხვა საოპერაციო ხარჯები	-37665.22	-48182.91
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი ნაკადები	**344517.27**	**-1156917.82**
გადახდილი პროცენტი	-22775.85	-49680.99
საბიუჯეტო გადასახდელები	-272653.22	-1039566.09
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო სქმიანობიდან	**49088.2**	**-2246164.9**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	-294737.67	-105486.9
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	0	0
მიღებული დივიდენდი		
კაპიტალის ზრდა/შემცირება	142200.6	1916799.17
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**-152537.07**	**1811312.27**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გაცემული დივიდენდები	-50000	0
გრძელვადიანი სესხის დაფარვა	0	
მიღებული სესხი	219617.88	572247.43
გაცემული სესხი	0	
მიღებული პროცენტი	0	
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	**169617.88**	**572247.43**
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტების ზრდა	66169.01	137394.8
საკურსო სხვაობით მირებული შემოსავალი/ხარჯი	-5292.93	-12999.16
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტებია ზრდა/შემცირება	60876.08	124395.64
ფულადი სახსრები წლის დასაწყისში	22724.79	83600.87
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	83600.87	207996.51

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით
2020 წლის 13 მაისს

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

ფინანსური ანგარიშგება

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	აქტივების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუტარი კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრისათვის	**0.23**	**0**	**542176.7**	**542176.93**
კაპიტალის ცვლილება	142200.6			142200.6
წინა პერიოდის კაპიტალის კორექტირება			-4925	-4925
გაცემული/მიღებული დივიდენდი			-61919.5	-61919.5
გადავადებული საგადასახადო აქტივი				0
სხვა სრული შემოსავალი			-402292.54	-402292.54
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრისათვის	**142200.83**	**0**	**73039.66**	**215240.49**
წინა პერიოდის კაპიტალის კორექტირება			79.89	-79.89
კაპიტალის ცვლილება	1916799.17			1916799.17
გაცემული/მიღებული დივიდენდი			0	0
გადავადებული საგადასახადო აქტივი				0
სხვა სრული შემოსავალი			-1930308.53	-1930308.53
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	**2059000**	**0**	**-1857188.98**	**201811.02**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით
2020 წლის 13 მაისს

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (თანხები მოცემულია ლარებში).

შენიშვნა 1. საწარმოს საქმიანობა

შპს „ტელეკომპანია პირველი“ დაარსდა 2014 წლის 13 მარტს. რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. მისი იურიდიული და ფაქტიური მისამართია: თბილისი, საბურთალოს რაიონი, ზოვრეთისა და მგალობლიშვილის ქუჩების კვეთა. კომპანიის დირექტორია ბ-ნი ვახტანგ წერეთელი

შპს „ტელეკომპანია პირველი“-ის საქმიანობას წარმოადგენს ტელესაინფორმაციო მაუწყებლობის განხორციელება.

შენიშვნა 2. კომპანიის საოპერაციო გარემო

„კომპანიის“ საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, „კომპანია“ დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნის ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზები ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა და განიცდის ცვლილებებს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას „კომპანიის“ ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის წინასწარ განსაზღვრული შეფასებებისგან. ასეთი ფაქტორები გავლენას ახდენს კომპანიის სამომავლო ოპერაციებზე, ხოლო მისი მომავალი რეალური ეფექტი განუსაზღვრელია.

შენიშვნა 3. წარდგენის საფუძველები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებული იქნა საწარმოს ბუღალტრული ჩანაწერებიდან ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად მცირე და საშუალო საწარმოსათვის (მსს ფასს). წარმოდგენილი ანგარიშგება შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს (მსს ფასს).

შენიშვნა 4. შეფასებები და ვარაუდები

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ დასკვნის მომზადება მოითხოვს მენეჯმენტისგან განსჯას, შეფასებებს, ვარაუდებს, რომლებიც ეხება შემოსავლების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებულ თანხებს. გაურკვევლობა ამ ვარაუდებისა და შეფასებების შესახებ, შესაძლოა, დასრულდეს ისეთი შედეგით, რომელიც მოითხოვს აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულების არსებით კორექტირებას და შესაბამისად მატერიალურ კორექტირებას მომავალში.

კომპანია შეფასებებსა და ვარაუდებს აკეთებს იმ პარამეტრების საფუძველზე, როდესაც ფინანსური ანგარიშგება მომზადდა. არსებული გარემოებები და ვარაუდები მომავალში შესაძლოა შეიცვალოს ბაზრის ან გარემოებათა ცვლილებასთან ერთად, რომლებსაც კომპანია ვერ აკონტროლებს. ასეთი ცვლილებები გავლენას ახდენს ვარაუდებზე მაშინ, როცა ის იჩენს თავს.

შენიშვნა 5. სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის აღწერა.

ა) ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულ იქნა ისტორიული ღირებულების კონცეფციის გამოყენებით.

ბ) უცხოური ვაკურის გადაანგარიშება

უცხოური ვაუტაში ნომინირებული ოპერაციები გადაანგარიშებულია ეროვნულ ვალუტაში ოპერაციების მოხდენის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის გამოყენებით.

გ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია შეენის ღირებულებითა და აკუმულირებული ცვეთის გამოკლებით. ფიქსირებული აქტივების შეძენის ღირებულებაში შეიტანება ყველა ხარჯი, რომელიც საჭიროა აქტივის ექსპლუატაციაში შესაყვანად. მიმდინარე რემონტის ხარჯები მიეკუთვნება პერიოდის ხარჯებს მათი გაწევისთანავე.

ლიკვიდირებული ან გაყიდული ძირითადი საშუალებების ღირებულება და შესაბამისი ცვეთის თანხა ჩამოიწერება ანგარიშებიდან და აღნიშნული ოპერაციის შედეგი (მოგება ან ზარალი) შეიტანება წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცვეთის დარიცხვას კომპანია აწარმოებს ნარჩენი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები გამოიყურება შემდეგნაირად:

სატელევიზიო ტექნიკა	10 წელი
ოფისის მოწყობილობები	5 წელი
კომპიუტერული ტექნიკა და ავეჯი	5 წელი

დ) სასაქონლი მატერიალური მარაგები

სასაქონლი მატერიალური მარაგები წარმოდგენილია თვითღირებულებით. თვითღირებიულება გაანგარიშებულია საშუალო შეწონილი მეთოდით.

ე) მოკლევადიანი სავაჭრო მოთხოვნები

მოკლევადიანი სავაჭრო მოთხოვნები წარმოდგენილია ნომინალური ღირებულებით.

ვ) **ამონაგების აღიარება**

ამონაგების აღიარება ხორციელდება მომსახურების გაწევისთანავე, როდესაც ხდება მისაღები თანხის საიმედოდ განსაზღვრა და მოთხოვნის უფლების დადასტურება.

ზ) ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები შედგება ნაღდი ფულისა და საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრებისაგან.

2020 წლის ფინანსური შედეგები

2020 წლის შედეგებით სოპერაციო საქმიანობით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 6594420 ლარი, არასაოპერაციო შემოსავალმა გრანტის სახით შეადგინა 392348,45 ლარი. ფინანსურმა შემოსავალმა შეადგინა 10954,9. სულ შემოსავალმა შეადგინა 6997723,35 ლარი. ხოლო აღნიშნული შემოსავლის მისაღებად გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 8928032 ლარი. მათ შორის 140299 ლარი საკურსო სხვაობის ხარჯია. შესაბამისად, კომპანიამ 2020 წლის საქმიანობით მიიღო 1930308 ლარის ზარალი.